30/07/2024

MES 1 24 0000920243

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 16.07.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:41 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. თამარ ლომინაძე - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. დავით გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
6. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
7. აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

9. თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
10. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. დიმიტრი ჯაფარიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
12. ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
13. დიანა მჭედლიშვილი – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
15. ქეთევან ნანობაშვილი – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
16. გიორგი მირიანაშვილი – შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლელი:
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში:
თამარ კეკენაძე - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
ლევან გურგენიძე - ვიცე-რექტორი
ნინო ლობჟანიძე - ბიზნესი და მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
სოფიო მშვიდობაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი
ანი დემეტრაშვილი - სტუდენტური სერვისების და კურსდამთავრებულთა სამსახურის ხელმძღვანელი
სალომე კუბლაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტი

შპს თავისუფალი აკადემია:
სალომე პირველი - რექტორი
ანჟელა აბულაძე - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
დავით შოშიტაშვილი - ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელძღვანელი
მაკა კობალავა - პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის წევრი
მაია ვასაძე - ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
მურმან პაპაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
დარეჯან გარდავაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ქიმერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი

შპს ალტე უნივერსიტეტი:
რამაზ კუკულაძე - უნივერსიტეტის პრეზიდენტი
ნინო ალავიძე - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი
ირმა ნოზაძე - საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი
ნანა მიქაშავიძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სკოლის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი
სალომე ონიანი - კომპიუტერული მეცნიერების ქართულ და ინგლისურენოვანი პროგრამების თანახელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები:
ანუ ანა ჯოსანი - I, II საკითხები
დავით სიხარულიძე - I საკითხი
ნინო პატარაია (დარგი) - I საკითხი
მაია ჭინჭარაშვილი - I საკითხი
ნინო პატარაია (განათლების ექსპერტი) - I საკითხი
ვაჟა კელიხაშვილი - I, II საკითხები
თამთა ლეკიშვილი - II საკითხი
ელენე ჯღარკავა - II საკითხი
ემზარ კახიძე - III საკითხი
მაქსიმ იავიჩი - IV, V საკითხები

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. "შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში"-ის "ბიზნესის და მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს ალტე უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. შპს ალტე უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. "შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში"-ის "ბიზნესის და მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს ალტე უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს ალტე უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: "შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში"-ის "ბიზნესის და მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესი და მენეჯმენტი
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 240
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
6. დეტალური სფეროს კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, ანუ ანა ჯოსანი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ეს პროგრამა, რომელიც შემუშავებულია „ბუკინგემის უნივერსიტეტთან“ თანამშრომლობით, მოიცავს ოთხ აკადემიურ წელს და შედგება 240 კრედიტისაგან. ის შეიცავს როგორც ძირითად, ისე არჩევით სასწავლო კურსებს და პრაქტიკულ კომპონენტებს, კერძოდ, სტაჟირებასა და საბაკალავრო პროექტს. მისი თქმით, პროგრამამ გაიარა ვალიდაცია „ბუკინგემის უნივერსიტეტის“ მიერ 2021-2022 წლებში, რითაც უზრუნველყოფილია ის, რომ კურსდამთავრებულები მიიღებენ დიპლომს ორივე დაწესებულებიდან. ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა პროგრამა. სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ექსპერტები შეხვდნენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, კერძოდ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. დასკვნაში საუბარია როგორც უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებზე, ისე გასაუმჯობესებელ სფეროებზე. ანუ ანა ჯოსანმა განაცხადა, რომ რეკომენდებულია დაწესებულებამ გაზარდოს შესაბამისობა როგორც საერთაშორისო სტანდარტებთან, ისე ინდუსტრიის საჭიროებებთან. საჭიროა შეიქმნას დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება გაერთიანებული სამეფოს სააკრედიტაციო სისტემის შესაბამისობა ECTS - თან, პლაგიატის შემოწმების ფორმალიზებული სისტემის დანერგვა და აკადემიური კურსების გაძლიერება მარკეტინგზე ფოკუსირებული კურსებით. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას წინაპირობები ისეთი კურსებისათვის, როგორებიცაა „მომხმარებელთა ქცევა“, „მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი“ და „კულტურათაშორისი მენეჯმენტი“. პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის საურველია პროგრამამ სტუდენტებს შესთავაზოს სპეციალიზებული კურსები განვითარებადი ბიზნეს-ტენდენციების შესახებ, რომელიც პროგრამას განასხვავებდა მისი კონკურენტებისაგან და გააძლიერებდა მის მიმზიდველობას პერსპექტიული სტუდენტებისათვის, რომლებიც ეძებენ გამორჩეულ საგანმანათლებლო გამოცდილებას. ასევე სამეცნიერო კვლევითი ინიციატივების წახალისება და სასწავლო პროგრამაში ტრანსფერული უნარების ინტეგრირება. რეკომენდებულია სტუდენტური კავშირის შექმნა, სტუდენტისათვის ტექნიკური უნარების ტრენინგის შეთავაზება და მარკეტინგის კურსის გაძლიერება. ასევე გაცვლითი პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათში სტუდენტური თვითმმართველობისა და დამსაქმებელთა ჩართულობა ხელს შეუწყობს პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას. მისი თქმით, უნივერსიტეტმა რეკომენდაციების შესრულების მიზნით განახორციელა კონსტრუქციული სამუშაოები. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ პროგრამა იყოს აქტუალური სტუდენტის კარიერისათვის მომზადების საკითხში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის ხელმძღვანელი, ნინო ლობჟანიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, თითოეული რეკომენდაცია, რომელიც პროგრამის მიმართ იქნა გაცემული, დაწესებულებამ გაიზიარა. რეკომენდაციების შესრულებაზე აქტიური სამუშაოები უკვე დაწყებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, აკადემიური კურსების გაღრმავება სწავლის ძირითად სფეროში, მარკეტინგზე ორიენტირებული კურსების დამატებით.“ მას აინტერესებდა, რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. გიორგი ღაღანიძემ ასევე კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, სტუდენტთა 80% მიერ მიღებული 51 ქულით რამდენად რელევანტურია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტების შენიშვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით ობიექტურია. ექსპერტმა დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“. პროგრამაში დაბალანსებულად უნდა იყოს წარმოდგენილი ბიზნესის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა „ფინანსები“, „მენეჯმენტი“ და „მარკეტინგი“. პროგრამაში „მარკეტინგის საფუძვლები“ ერთი საგნით იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, სასურველია ეს მიმართულება გაძლიერდეს და მხოლოდ ერთი საგნით არ შემოიფარგლებოდეს პროგრამა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ლობჟანიძემ გიორგი ღაღანიძის მიერ დასმულ პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება მუშაობს ამ საკითხზე. როდესაც უნივერსიტეტი ამუშავებდა აღნიშნულ პროგრამას, ინსტიტუცია მოქმედებდა როგორც ეროვნული აკრედიტაციის, ისე ბუკინგემის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ მარკეტინგის მიმართულებით პროგრამას აკლია გაძლიერება. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი იზიარებს. „მარკეტინგის საფუძვლების“ სასწავლო კურსს მინიჭებული აქვს ათი კრედიტი, რომელიც მის წონას ზრდის მთლიან პროგრამაში. ჩართულ მხარეებთან ერთად დაწესებულება აპირებს ამ მიმართულებით შესაბამისი საგნების დამატებასთან დაკავშირებით კონსულტაციების გავლას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ახლო მომავალში არჩევითი სასწავლო კურსი „ციფრული მარკეტინგი“ გადავა სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.

ნინო ლობჟანიძემ სწავლის შედეგების ნიშნულებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ასეთი რეგულაცია ბრიტანულ რეგულაციასთან მოდის შესაბამისობაში. შესაბამისად, სტუდენტთა 80% მიერ მიღებული 51 ქულით შესაძლებელია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა.

საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ბიუჯეტში წარმოდგენილი იყო საკონტაქტო საათების რაოდენობა და ლექტორების ხარჯი საერთო არჩევით საგნებზე. მას აინტერესებდა, იგულისხმებოდა თუ არა აღნიშნულ ჩანაწერში მოწვეული და აკადემიური პერსონალის ხარჯი. მან აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევაში არ ჩანდა რაოდენობრივი პროგნოზის საფუძველი სტუდენტის მიერ პროგრამაზე სწავლების საფასურის გადასახადის. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში წარმოდგენილი საკონტაქტო საათების რაოდენობა და ლექტორების ხარჯი საერთო არჩევით საგნებზე მოიცავს როგორც მოწვეულ, ისე აკადემიურ პერსონალს. ნინო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი შეეცადა ბაზრის კვლევა მრავალფეროვანი გაეხადა, რადგან ერთი მიმართულებით თვისობრივი ან რაოდენობრივი ანალიზის შედეგი არ იძლევა საერთო სურათს. გაკეთდა სამომავლო პროგნოზები მიმდინარე კვლევებიდან გამომდინარე როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ასევე გამოყენებული იქნა „საქსტატისა“ და „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ მონაცემები 2023 – 2029 წლების ანგარიშში. ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს ანალიზი იმის შესახებ, თუ სკოლის მოსწავლეების რა რაოდენობა არსებობს მსგავს სკოლებში და რამდენად შეესაბამება ან აღემატება ამ სკოლებში ამ პროგრამის სწავლის საფასურის გადასახადს. ნინო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს წინამოსამზადებელ შეხვედრებს სკოლებთან კომუნიკაციის მიზნით.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ დაწესებულებას მიმართა „სტაჟირების“ სასწავლო კურსის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოსთვის. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვია „სტაჟირებისა“ და „საბაკალავრო ნაშრომის“ სასწავლო კურსების

ერთი და იგივე სემესტრში არსებობა. მისი თქმით, დაწესებულების მიერ დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში არ იყო მითითებული სტუდენტთა რაოდენობა. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.
ნინო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ „სტაჟირება“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ ბოლო სემესტრში იმიტომ არის წარმოდგენილი, რომ სტუდენტმა ჯერ უნდა გაიაროს სხვა საფუძვლიანი საგნები, რათა შეძლოს „სტაჟირებისა“ და „საბაკალავრო ნაშრომის“ სასწავლო კურსების გავლა. მაგალითად, დაწესებულებას მემორანდუმი გაფორმებული აქვს „საქართველოს ბანკთან“. „საქართველოს ბანკს“ აქვს „ლიდერატორის“ პროგრამა, რომელშიც შესაძლებელია ამ პროგრამის სტუდენტების ჩართვაც. საქართველოს ბანკს არ აქვს განსაზღვრული სტუდენტთა მიღების რაოდენობა „ლიდერატორის“ პროგრამაზე, თუმცა უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული ისეთი მემორანდუმებიც, რომლებშიც მითითებულია სტუდენტთა კონკრეტული რაოდენობა, კერძოდ, მათში ის რაოდენობა არის მითითებული, რამდენი კურსდამთავრებულიც ეყოლება დაწესებულებას.
საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ კითხვით მიმართა სასწვალო უნივერსიტეტს. მისი თქმით, პროგრამის სტრუქტურაში საფინანსო სფეროს ნაწილის სწავლება ოთხი სასწავლო კურსისგან შედგება, რომელიც შესავალი ფინანსებით იწყება. მას აინტერესებდა, „შესავალი ფინანსების“ სასწავლო კურსსა და შემდგომ სხვა საფინანსო საგნების შესწავლას შორის აქვს თუ არა თემატიკების გამეორებას ადგილი.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ საგნების ერთობლივი შეთავაზება ემსახურება სტუდენტის მიერ რთული ფინანსური საკითხების შესწავლის დაძლევას. ეს არის ყველა უნივერსიტეტის გამოწვევა. ლექტორმა ზუსტად იცის თუ რა საკითხი უნდა ასწავლოს როგორც პირველკურსელ, ისე მეხუთე კურსელ სტუდენტს.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ამ პროგრამაზე ჩარიცხულთათვის მკაცრად არის განსაზღვრული B2 დონეზე უცხო ენის გამოცდის ჩაბარება. მას აინტერესებდა, რამდენად შეძლებს სრული ზოგადი განათლების მქონე ქართველი აბიტურიენტი ამ პროგრამის დაძლევას მაშინ, როდესაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ითვალისწინებს ინგლისური ენის B1 დონეზე ფლობას.
ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ ინგლისურ ენასთან დაკავშირებით დაწესებულებას არასდროს ჰქონია პრობლემა. აბიტურიენტი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხება პროგრამაზე, თავისუფლად შეძლებს ამ პროგრამის დაძლევას. პირველ სემესტრში არის ისეთი საგნები, რომლებიც სტუდენტს დაეხმარება ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებაში.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ როგორც ადმინისტრაციის, ისე ლექტორების დაკვირვებით ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტებს არ უჭირთ "ბიზნესის და მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევა. მაგალითად, „ბიზნეს ინგლისური“ სტუდენტებისთვის აღმოჩნდა იმდენად მარტივად დასაძლევი სასწავლო კურსი, რომ პროგრამიდან ამოღება გახდა საჭირო. აღნიშნული სასწავლო კურსის ამოღების ხარჯზე გაძლიერდა აკადემიური და კვლევითი უნარები ინგლისურ ენაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანი დემეტრაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ინგლისური ენის ცენტრი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს დაეხმარება უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლებაში. საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, თითქმის ყველა ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამაში ისწავლება „პროექტის მართვა“ ან „მენეჯმენტი“. სასწავლო კურსები, რომლებიც პროექტით ფასდება პროგრამაში ძალიან ცოტაა. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.
ნინო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ სამ სასწავლო კურსში არის ჩართული პროექტი, როგორც შეფასების მექანიზმი, თუმცა ბოლო სემესტრში არის „ბიზნეს სტარტაპი“ რომელიც პროექტის იდეას წარმოადგენს და დამატებით გააჩნია პრაქტიკული გამოყენება. „ბიზნეს სტარტაპის“

სასწავლო კურსის ფარგლებში მოიაზრება პროექტი და ბიზნეს იდეის აქსელერაციის ხელშეწყობა როგორც აკადემიური პერსონალის ჩართულობით, ისე გარე თანამშრომლობის საფუძველზე.
საერთაშორისო ექსპერტმა, ანუ ანა ჯოსანმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის დონეზე დამოუკიდებელი კურსის სახით „პროექტების მენეჯმენტი“ სტუდენტისთვის შეთავაზებული არ არის. როდესაც ვიზიტის ფარგლებში ამ საკითხთან დაკავშირებით დაისვა კითხვა, უნივერსიტეტის პასუხის იყოს ის, რომ გარკვეული კურსების საშუალებით ხდებოდა ამ სწავლის შედეგზე გასვლა.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამით აკრძალულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სტუდენტისთვის დავალების ან რაიმე სახის ნაშრომის შექმნისას. მას აინტერესებდა, რა ინსტრუმენტს იყენებს დაწესებულება იმისათვის, რომ მოახდინოს სტუდენტების ნაშრომებში ხელოვნური ინტელექტის ჩარევის იდენტიფიკაცია. გარდა ამისა, პროგრამაში არსებული მათემატიკა რამდენად საკმარისია ისეთი საგნების დასაძლევად, როგორებიცაა „ფინანსური აღრიცხვა“, „ეკონომიკა“, „სტატისტიკა“ და ა.შ.
სოციალური მეცნიერებების დეკანმა, თამარ კეკენაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება „ბუკინგემის უნივერსიტეტთან“ აქტიურად თანამშრომლობს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით, რათა სტუდენტმა დავალების ან რაიმე სახის ნაშრომის შექმნისას არ გამოიყენოს ის. რაიმე მექანიზმი ხელოვნური ინტელექტის იდენტიფიკაციისათვის არ არსებობს, თუმცა როგორც „ბუკინგემის უნივერსიტეტი“, ისე ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში სტუდენტის მიერ ხელოვნური ინტელექტის სასწავლო პროცესში გამოყენების მინიმალურ დონეზე დაყვანას ცდილობს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტი პირველ სემესტრში სწავლობს „მათემატიკის საფუძვლებს“, ხოლო შემდგომ კურსზე „ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების“ სასწავლო კურსს, რომელშიც წარმოდგენილია მათემატიკის შესაბამისი საკითხები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:52
დასრულების დრო: 15:27

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასებები, კერძოდ სტანდარტის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. 1.2 კომპონენტთან მიმართებით გაიცა რეკომენდაციები, კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანი პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება. საბჭომ ასევე დაამატა რეკომენდაცია სტანდარტის 1. 3 კომპონენტთან მიმართებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
"შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში"-ის "ბიზნესის და მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში "ბიზნესის და მენეჯმენტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია შეიქმნას დოკუმენტი, რომელიც ასახავს გაერთიანებული სამეფოს კრედიტ სისტემის შესაბამისობას კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემასთან (ECTS), რათა შეიცავდეს ინფორმაციას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) მიერ რეკომენდებული კონვერტაციის კოეფიციენტზე. როგორც წესი, 2 ECTS კრედიტი უტოლდება 1 გაერთიანებული სამეფოს კრედიტს. ეს დოკუმენტი უზრუნველყოფს სიცხადეს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება კრედიტების მინიჭება და აღიარება დაწესებულებებს შორის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს სტუდენტთა მობილობას და კრედიტების აღიარებას გლობალური მასშტაბით;
2. რეკომენდებულია დაინერგოს მათემატიკის მეორე კურსი Excel-ის (გამოყენებითი/ბიზნესის მათემატიკა) კომპონენტით პირველ წელს, იმ გამოწვევების გადასაჭრელად, რომლებსაც შეიძლება სტუდენტები წააწყდნენ ამ სფეროში. მიაწოდეთ დამატებითი დამხმარე რესურსები, როგორიცაა ტუტორიალი ან სემინარები, რათა დაეხმაროთ სტუდენტებს მათემატიკური ცნებების დაუფლებაში;
3. რეკომენდებულია გაძლიერდეს მათემატიკური კომპონენტის სწავლება შესაბამის სასწავლო კურსებში, რათა უზრუნველყოფილი იქნას შემდგომი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევა;
4. რეკომენდებულია დაინერგოს პლაგიატის შემოწმების უფრო ფორმალიზებული სისტემა, რომელსაც გამოიყენებს ყველა პერსონალი და შემოწმდება სტუდენტის შესაბამისი ნამუშევრები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის გამჭვირვალობა და სამართლიანობა. დარწმუნდით, რომ პლაგიატზე მოწმდება შესაბამისი ნამუშევრები და არა პერდსონალის შეხედულებისამებრ.
5. რეკომენდებულია, აკადემიური კურსების გაღრმავება სწავლის ძირითად სფეროში, მარკეტინგზე ორიენტირებული კურსების დამატებით;
6. რეკომენდებულია შეიქმნას წინაპირობები შემდეგი აკადემიური კურსებისთვის: მომხმარებელთა ქცევა, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი და კულტურათაშორისი მენეჯმენტი.

რჩევები:

1. ბიზნესისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში ჩართეთ სპეციალიზებული კურსები განვითარებადი ბიზნეს ტენდენციების შესახებ, რაც პროგრამას განასხვავებს მისი კონკურენტებისგან და გააძლიერებს მის მიმზიდველობას პერსპექტიული სტუდენტებისთვის, რომლებიც ეძებენ გამორჩეულ საგანმანათლებლო გამოცდილებას. ეს ცვლილებები არა მხოლოდ უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას სწრაფად განვითარებად ბიზნეს გარემოსთან, არამედ გააფართოებს მის მიმზიდველობას იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ინდუსტრიის წინსვლაში
2. წაახალისეთ სამეცნიერო საქმიანობა და კვლევითი ინიციატივები პროგრამის ფარგლებში, რაც გამოიხატება ფაკულტეტისა და სტუდენტების მიერ წარმართული კვლევითი პროექტებისათვის რესურსებით უზრუნველყოფასა და მხარდაჭერაში. შეიმუშავეთ სასწავლო გეგმაში კვლევის შესაძლებლობების ინტეგრირების სტრატეგია სტუდენტების კრიტიკული აზროვნების და ანალიტიკური უნარების გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანია პროგრამის სასწავლო მიზნების/შედეგების შესაბამისობა ინდუსტრიის თანამედროვე საჭიროებებთან ისეთი სქემების მეშვეობით, როგორიცაა გრანტები კვლევისა და განვითარების პროექტებისთვის, რაც შემდგომში დაეხმარება ფაკულტეტის წევრებს, უზრუნველყონ, რომ პროგრამა პასუხობდეს ინდუსტრიის განვითარებად მოთხოვნებს.
3. კურსის შინაარსში ჩართეთ ტრანსფერული უნარები, როგორიცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და პრობლემების გადაჭრა, რათა კურსდამთავრებულები იყვნენ კარგად მომზადებული სხვადასხვა კარიერული გზისთვის. შექმენით სტუდენტებისთვის ამ უნარების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა ჯგუფური პროექტების, პრეზენტაციებისა და რეალურ სამყაროში სიმულაციების მეშვეობით;
4. შექმენით სტუდენტური კავშირი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართულობას პროგრამის აქტივობებში. ამ კავშირს შეუძლია მოაწყოს ღონისძიებები, ვორქშოფები და კლასგარეშე აქტივობები სტუდენტური გამოცდილების გასამდიდრებლად და იმისათვის, რომ სტუდენტებს გაუძლიერდეთ საზოგადოების განცდა.
5. მოახდინეთ მეტი ტექნიკური უნარების ტრენინგის ინტეგრირება, განსაკუთრებით Excel-სა და Word-ში, აღჭურვეთ სტუდენტები პრაქტიკული ინსტრუმენტებით, რომლებიც აუცილებელია ბიზნეს გარემოში. განიხილეთ სემინარების ან არჩევითი კურსების შეთავაზება, რომლებიც ორიენტირებულია ტექნიკური ცოდნის ამაღლებაზე
6. გააძლიერეთ მარკეტინგის კურსი, რათა დარწმუნდეთ, რომ იგი ადეკვატურად მოიცავს არსებით კონცეფციებს და პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკას. განიხილეთ კურსის შინაარსის განახლება, შემთხვევის შესწავლის ჩართვა და ინდუსტრიის ექსპერტების მოწვევა ლექციაზე
7. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე დააწესეთ კრიტერიუმი (მიღებული მინიმალური ქულა) ინგლისური ენის გამოცდაზე ქართველი სტუდენტებისთვის
8. გაზარდეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში
9. უზრუნველყავით სტუდენტთა უშუალო ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში. გაზარდეთ ცნობიერება სტუდენტთა თვითმმართველობის შესახებ
10. ელი შეუწყვეთ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ზრდას
11. სტუდენტების სასურველი რაოდენობის მისაღწევად და ბიუჯეტის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, გაიზარდოს უნივერსიტეტის ცნობადობა მარკეტინგული აქტივობების განხორციელებით, სოციალური მედიის პლატფორმების გამოყენებით და სხვა აუცილებელი სარეკლამო სტრატეგიების დანერგვით
12. ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები გააერთიანეთ ერთ დოკუმენტში და წარმოადგინეთ ისინი, როგორც თანდართული მტკიცებულება

13. ჩართეთ დაინტერესებული მხარეები, განსაკუთრებით დამსაქმებლები, უფრო ფართოდ. პროგრამის მოდიფიკაციის დროს მათ მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ როლს, ამიტომ, სასურველია დამსაქმებლების ჩართულობის გაზრდა და ამ კუთხით უფრო მჭიდრო კომუნიკაციის ხელშეწყობა.

მეორე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - **ბიზნესის ადმინისტრირება**
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 240
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
6. დეტალურის ფეროს კოდი – 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა გიორგი ღაღანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა ოჯახი წევრის შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის 240 კრედიტიანი, რომელიც კურსდამთავრებულს ანიჭებს „ბიზნესის ადმინისტრირების“ ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს და სწავლება გრძელდება ოთხი წელი. მისი თქმით, აკრედიტაციის ჯგუფმა ზედმიწევნით შეისწავლა პროგრამა და დეტალურად განიხილა დოკუმენტაცია. ამის შემდეგ, 2024 წლის 4 აპრილს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარდა სააკრედიტაციო ვიზიტი. სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ექსპერტები შეხვდნენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, კერძოდ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. შეფასების შემდეგ პროგრამამ აჩვენა

მეტწილად შესაბამისობა სხვადასხვა სტანდარტთან, რაც ცხადყოფს დაწესებულების ფოკუსირებას ხარისხიან განათლებაზე. რეკომენდებულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის და გარემოსდაცვითი სოციალური მმართველობის კურსების შემოღება, რათა გაფართოვდეს სტუდენტების ცოდნა ეთიკური საკითხების შესახებ. სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილი გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებში. რეკომენდებულია ლიტერატურის მიმოხილვის სტრუქტურირებული კურსის შემოღება სასწავლო გეგმის დასაწყისში, რათა განვითარდეს სტუდენტების კრიტიკული ანალიზი და კვლევის უნარები. ასევე საჭიროა იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა კურსს ჰქონდეს შესაბამისი წინაპირობები, რათა უზრუნველყოს სტუდენტები აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნით. რეკომენდებულია კურიკულუმის დარგობრივი მახასიათებლის კრიტერიუმთა თანხვედრის გაზრდა, მათ შორის, ბიზნეს კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კურსების სავალდებულო ხასიათის უზრუნველყოფით.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის მიერ კვლევის შედეგების რაოდენობისა და ხარისხის ზრდა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართვა სასწავლო კურსებში. რეკომენდებულია ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის დატვირთვის გადახედვა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ტრენინგების გაზრდა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის გაიცა რამდენიმე რჩევა. სასურველია რეალურ სამყაროში გამოყენებადი და სათემო პროექტების ჩართვა სასწავლო გეგმაში, რაც აჩვენებს პროგრამის გავლენას როგორც სფეროზე, ისე საზოგადოებაზე. სასურველია „Word"-ისა და „Excel"-ის სპეციალიზებული ტრენინგების ინტეგრირება სტუდენტების მონაცემთა ანალიზის და კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესების მიზნით. „ვორქშოფები" და სასწავლო სესიები, რომლებიც ორიენტირებულია კვლევის მეთოდოლოგიასა და აკადემიურ წერაზე, პროგრამის სწავლის შედეგების განახლებასთან ერთად უნდა მოიცავდეს ისეთ ტენდენციების, როგორებიცაა მდგრადობა და ციფრული ტრანსფორმაციები, რომლებიც გაამდიდრებს სასწავლო გეგმას. გარდა ამისა, პლაგიატზე შემოწმების გაფართოება უნდა მოიცავდეს ყველა დავალებას. ანუ ანა ჯოსანის თქმით, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიამ გაიზიარა პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციები და გადადგა მათ შესასრულებლად კონსტრუქციული ნაბიჯები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაიცა 8 რეკომენდაცია, რომელიც უნივერსიტეტმა შეასრულა და შესრულებული რეკომენდაციების შესახებ დოკუმენტი შუალედურ დასკვნით ეტაპზე გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფისთვის. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის იყო ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია. დაწესებულება თავიდან ვერ მიხვდა რომელ სასწავლო კურსს გულისხმობდნენ ექსპერტები, თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ მათ იგულისხმეს „საბანკო სამართლისა" და „ადამიანური რესურსების მართვის" სასწავლო კურსები. თამარ გოგოლაშვილი კითხულობს აღნიშნულ სასწავლო კურსებს. ის არის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, რომელიც სამართლის მიმართულებით არის დაწესებულებაში დასაქმებული. აკრედიტაციის პროცესში, დოკუმენტების გადაგზავნის დროს მოხდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ცენტრში გაგზავნილ დოკუმენტებში არ იყო მითითებული თამარ გოგილაშვილის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. თუ აკრედიტაციის საბჭო მიზანშეწონილად ჩათვლის, მაშინ დაწესებულება მზად არის, რომ გაუზიაროს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. მან აღნიშნა, რომ თამარ გოგილაშვილს დისერტაცია დაცული ჰქონდა შემდეგ საკითხზე - „საკრედიტო რისკების მართვა კომერციულ ბანკებში." მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებისთვის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

მუდმივი პროცესია, რასაც უწყვეტად ახორციელებს აკადემია პერსონალის საჭიროებებიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, შესაძლებელია თუ არა „ფინანსური აღრიცხვა“ იყოს „ფინანსური მენეჯმენტის“ წინაპირობა. მან განაცხადა, რომ „პროექტების მართვის“ სასწავლო კურსი მოცემულია არჩევით ბლოკში. მას აინტერესებდა, აპირებს თუ არა კოლეჯი მის გადატანას სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.
პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია „ფინანსური აღრიცხვა“ იყოს „ფინანსური მენეჯმენტის“ წინაპირობა. „პროექტების მართვის“ სასწავლო კურსის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში გადატანასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გაითვალისწინებს აღნიშნულ რჩევას.
საერთაშორისო ექსპერტმა, ანუ ანა ჯოსანმა განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა ეს კურსები წარმოდგენილი ყოფილიყო პროგრამაში არა როგორც პრერეკვიზიტული, არამედ დამოუკიდებელი კურსების სახით.
საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ პროგრამაში არსებობს შემდეგი სასწავლო კურსები: „ფინანსების საფუძვლები“, „საჯარო ფინანსები“, „ფინანსური მენეჯმენტი“, „კორპორაციული ფინანსები“ და „ფინანსური აღრიცხვა“. ეს სასწავლო კურსები მიმდევრობითობის თვალსაზრისით მოითხოვს კორექტირებას. პრინციპი არის ერთი, კერძოდ, სასწავლო კურსები უნდა ისწავლებოდეს მარტივიდან რთულისკენ. სტუდენტი სწავლას უნდა იწყებდეს „ფინანების საფუძვლებით“ და აგრძელებდეს „ფინანსური აღრიცხვითა“ და „მმართველობითი აღრიცხვით“. „ფინანსური აღრიცხვის“ შემდეგ შეიძლება იყოს „ფინანსური მენეჯმენტი“ და დასრულდეს „კორპორაციული ფინანსებით“. ასეთი თანმიმდევრობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება წინაპირობების სწორად განსაზღვრა. მან აღნიშნა, რომ „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ ისწავლება მესამე, ხოლო „სტატისტიკა“ მეოთხე სემესტრში. აღნიშნული სასწავლო კურსების ამ თანმიმდევრობით სწავლის შემთხვევაში „რაოდენობრივ კვლევის მეთოდებში“ შესაძლოა სტუდენტმა სრულფასოვნად ვერ აითვისოს სასწავლო მასალა და სწავლის შედეგებზე გასვლა გაუჭირდეს.
ანჟელა აბულაძემ აღნიშნა, რომ სანამ პროგრამაზე მუშაობა დაიწყება, მანამდე იქმნება პროგრამის განმავითარებელი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა დარგობრივი სპეციალისტებით. მისი თქმით, ექსპერტების მხრიდან კურსების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით შენიშვნა რომ ყოფილიყო დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებდა. მესამე სემესტრში სტუდენტი სწავლობს „კვლევის მეთოდებს“, ხოლო მეოთხე სემესტრში „სტატისტიკას“. სასწავლო კურსების ეს თანმიმდევრობა არის გამართლებული იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს მსგავსი სწავლების პრაქტიკა სხვადასხვა პროგრამაზე.
გარდა ამისა, დაწესებულების დამსაქმებელი არის „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო“, რომელიც ჩართულია პროგრამის განმავითარებელ ჯგუფში და მასთან შეთანხმებით მოხდა აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება ამ თანმიმდევრობით.
მარინე კობალავამ აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ამ შენიშვნას და სასწავლო კურსები მიმდევრობითობის თვალსაზრისით დაკორექტირდება.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, მესამე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, ყველა კურსს ჰქონდეს შესაფერისი წინაპირობები, რაც სტუდენტებს მისცემს შესაბამის ცოდნას და უნარებს.“ მას აინტერესებდა, გულისხმობდა თუ არა აღნიშნული რეკომენდაცია ყველა სასწავლო კურსს, რომელიც პროგრამაშია.
ექსპერტმა ელენე ჯღარკავამ განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია ეხებოდა რამდენიმე საგნის პრერეკვიზიტების გადახედვას, კერძოდ, არჩევითი ბლოკის შემთხვევაში გარკვეული

მოდულის საგნებს არ ჰქონდა პრერეკვიზიტები. გარდა ამისა, „სტატისტიკას“ და „ეკონომიკას“ არ ჰქონდათ პრერეკვიზიტები. დაწესებულებამ იმუშავა ამ საკითხთან დაკავშირებით და შუალედურ ეტაპზე აღნიშნულ სასწავლო კურსებს განუსაზღვრა წინაპირობები. საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაში „საბაკალავრო ნაშრომს“ ეთმობა 30 კრედიტი. მას აინტერესებდა, რა არის მიზეზი იმისა, რომ „საბაკალავრო ნაშრომს“ ეთმობა 30 კრედიტი. ანჟელა აბულაძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებამ გაიზიარა როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთის დაწესებულებების პრაქტიკა. როდესაც ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, დამსაქმებლის მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ კვლევითი კომპონენტი გაძლიერებულიყო. შესაბამისად, აქედან გამომდინარე ეთმობა „საბაკალავრო ნაშრომს“ 30 კრედიტი.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის გათვალისწინებას. მას აინტერესებდა, პროგრამის აკრედიტაციის შესახებ განცხადება ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებამდე იქნა თუ არა ცენტრში შეტანილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა აკრედიტაციისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეტანილი იქნა ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის დამტკიცებამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, დასკვნაში მოცემულია, რომ დაწესებულება ითვალისწინებს საერთაშორისო სტუდენტების კულტურულ ან სხვა საჭიროებებს სწავლა-სწავლების და შეფასების დადგენისას. მას აინტერესებდა, რა ღონისძიებები ხორციელდება უნივერსიტეტში იმისათვის, რომ საერთაშორისო სტუდენტის სწავლისა და შეფასების მეთოდები დადგინდეს. გარდა ამისა, როგორი სტრატეგია აქვს დაწესებულებას „Erasmus+” დაკავშირებით.

ანჟელა აბულაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გააფორმა მემორანდუმები. გარდა ამისა, სტუდენტები ჩართული არიან სხვადასხვა კვლევით პროექტებში. მაგალითად, სექტემბრის თვეში პროფესორები და სტუდენტები გაემგზავრებიან ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში უცხოეთში. აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვისთანავე, მათ ჩაუტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა შეფასების მექანიზმების გაცნობის შესახებ. გარდა ამისა, ლექტორი სტუდენტს პირველ ლექციაზე აცნობს შეფასების მექანიზმებსა და სტრუქტურას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საზოგადოების წინაშე დაწესებულება სამი წელია, რაც ახალი იმიჯით წარსდგა. ამ სამ წელიწადში აკადემიას ჰქონდა განვითარების უწყვეტი ციკლი. შესაბამისად, ყველაფრის ერთად მოსწრება შეუძლებელი იყო. განაცხადი „Erasmus+” დაკავშირებით უკვე გაკეთებულია. ერთობლივი კვლევითი პროექტები უკვე დაწყებულია სამართლის აკრედიტებულ პროგრამაზე. ოქტომბრის თვეში ერთი სტუდენტი პროფესორთან ერთად გაემგზავრება უცხოეთში კვლევითი პროექტის განხორციელების მიზნით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:13
დასრულების დრო: 17:11

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, კერძოდ დაამატა რეკომენდაცია 1.4 კომპონენტთან მიმართებით, აღნიშნულის გათვალისწინებით 1.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე დაემატა რეკომენდაცია 1.5. კომპონენტთან მიმართებით, მთლიანობაში 1.5 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის

სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან“. მიუხედავად ზემოაღნიშნული ცვლილებებისა პირველი სტანდარტის საერთო შეფასება არ შეცვლილა.
საბჭოს ასევე 4.3 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში, რის შედეგედაც კომპონენტის შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან" განისაზთვრა როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთთან". აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთთან".

საბჭომ დაამატა რეკომენდაცია 5.1 კომპონენტთან - შედეგად, 5.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. რასაც არ გამოუწვევია თავად მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, კურიკულუმში შედიოდეს კურსები, როგორიცაა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) და გარემოსდაცვითი, სოციალური საკითხები და მმართველობა (ESG), სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური მოსაზრებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.
2. რეკომენდირებულია, სასწავლო პროგრამაში ადრეულად შემოვიდეს სასწავლო კურსი ან მოდული, ლიტერატურის მიმოხილვის უნარების გამომუშავების მიზნით, რაც ასევე განავითარებს კრიტიკული ანალიზისა და კვლევის უნარებს, რაც შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან;

3. რეკომენდებულია სასწავლო პროგრამის სტრუქტურაში დაკორექტირდეს სასწავლო კურსების თანმიმდევრობა, მარტივიდან რთულისკენ პრინციპის დაცვით;
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
5. გადაიხედოს საბაკალავრო ნაშრომის კრედიტების რაოდენობა;
6. რეკომენდებულია, გაითვალისწინოთ ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი, იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურსები შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს, კერძოდ, ბიზნეს კომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსები შეიძლება ჩაითვალოს სავალდებულო კურსებად სწავლის სფეროს შედეგების მისაღწევად;
7. რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგების რაოდენობა და ხარისხი;
8. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში კვალიფიკაციის შესაბამისი პერსონალის ჩართვა;
9. რეკომენდებულია, პერსონალის დატვირთვის გადახედვა, მათ შორის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის;
10. რეკომენდებულია გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.

რჩევები:

1. სასურველია, კურიკულუმში მეტი რეალური გამოყენების ან საზოგადოებრივი პროექტების ჩართვა, იმის დასამტკიცებლად, როგორ უწყობს ხელს პროგრამის მიზნები სფეროსა და საზოგადოების განვითარებას;
2. სასურველია, MS Word-სა და Excel-ზე სპეციალიზებული ტრენინგის ან სემინარების ინტეგრირება სასწავლო გეგმის ფარგლებში, რათა გაზარდოს სტუდენტების უნარი გააანალიზონ მონაცემები, დააკავშირონ ისინი ერთმანეთთან და შეასრულონ თავიანთი მოვალეობები დამოუკიდებლად, რათა მოერგონ შრომის ბაზრის მოთხოვნებს დ;
3. სასურველია, ჩატარდეს ვორქშოფები, ტუტორიალები და შეიქმნას წერის ცენტრები კვლევის მეთოდოლოგიისა და აკადემიური წერის უნარების დახვეწის მიზნით; ხოლო ფაკულტეტის მენტორების პერსონიზირებული დახმარება უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების გაუმჯობესება უახლესი ტენდენციებისა და თანამედროვე გამოწვევების ინტეგრირებით, როგორიცაა მდგრადობა, ციფრული ტრანსფორმაცია და გლობალური მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი. ეს უზრუნველყოფს პროგრამის აქტუალობას და თანამედროვე ბიზნესის სფეროსთან შესაბამისობას, გაზრდის სტუდენტთა განათლების დონეს და მოამზადებს მათ მომავალი პროფესიული მოთხოვნების შესაფერისად;
5. სასურველია, პლაგიატის შემოწმების საზღვრების გაფართოება და გარდა თეზისისა, სხვა დავალებების შეფასება ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა Turnitin. Turnitin-ზე წვდომის უზრუნველყოფა სტუდენტის ყველა დავალებისთვის, და არა მხოლოდ თეზისებისთვის, უზრუნველყოფს აკადემიურ კეთილსინდისიერებას პროგრამის მასშტაბით, რაც შეესაბამება ეთიკურ ქცევასთან და დამოუკიდებელი კვლევის უნარებთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს;
6. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა და კლასგარეშე აქტივობები რეგულარულ სასწავლო გეგმასთან ერთად, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვან გამოცდილებას, როგორიცაა ინდუსტრიასთან დაკავშირებული გასვლები. ეს უზრუნველყოფს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრები უშუალოდ გაეცნონ რეალურ სამყაროში ბიზნეს ოპერაციებს, როგორიცაა ადგილობრივი ბიზნესის მონახულება ან კორპორატიული გარემოს დაკვირვება;

7. სასურველია, ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს უახლესი შესაძლო გამოცემებით;
8. სასურველია, პროგრამაში შეიტანოთ რეგულარული სემინარების სერია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ბიზნეს სექტორის პროფესიონალები. ასეთი სესიები სტუდენტებს სთავაზობს უშუალო ურთიერთობას ინდუსტრიის ლიდერებთან, ხელს უწყობს ქსელის შესაძლებლობებს და საშუალებას აძლევს მათ მიიღონ ინფორმაცია ბაზრის მიმდინარე ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ;
9. სასურველია, რომ სტუდენტებს, რომლებიც ჩააბარებენ ისტორიას, როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების მესამე საგანს, ჰქონდეთ მათემატიკის ცოდნა, რათა დააკმაყოფილონ სავალდებულო კურსების მოთხოვნები, როგორიცაა კალკულუსი;
10. სასურველია, სტუდენტების ჩართულობის გაღრმავება სხვადასხვა პრაქტიკული/კვლევითი უნარების განვითარების პროექტში;
11. სასურველია, აკადემიამ ხელი შეუწყოს სტუდენტების რაოდენობის გაზრდას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში;
12. სასურველია, ყოველწლიურად გაიზარდოს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - შუა საუკუნეების ისტორია
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ისტორიის მაგისტრი
5. დეტალური სფეროს კოდი - 0222 ისტორია და არქეოლოგია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ვასილ კიკუტაძემ, გიორგი ღაღანიძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ემზარ კახიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ აკრედიტაციის საბჭომ გასცა ოთხი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში პროგრამის სწავლის შედეგების ასახვას. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა რიგი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა შესაბამისობაში მოყვანილიყო სასწავლო კურსისათვის განსაზღვრულ ECTS კრედიტებთან. მესამე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „გაუმჯობესდეს სტუდენტის კმაყოფილების კვლევის სისტემა და ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი სახით (მათ შორის, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით) თითოეული მოდულისთვის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოდულის შეფასებას სტუდენტების მიერ საბოლოო ნიშნებისა და გამოცდების შედეგების გამოქვეყნებამდე“. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში ახალი სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების დაკონკრეტებას. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით დადასტურდა, რომ რიგ სილაბუსში ისტორიული და თანამედროვე პერსპექტივები სათანადოდ არ იყო ასახული, კერძოდ, თანამედროვე მედიევისტიკა - მედიევისტიკის კვლევის ძირითადი პრობლემები და სპეციფიკა, პაპობა და კათოლიკური ეკლესია შუა საუკუნეებში, ჯვაროსნული აღმოსავლეთი XII-XIII საუკუნეებში და აბრეშუმის გზა და ახლო აღმოსავლეთი. ლიტერატურა შესაბამისობაში არ იყო განსაზღვრული ECTS კრედიტებთან ან გამოტოვებული იყო ახლადგამოცემული სახელმძღვნელოები თუ მონოგრაფიები, თუმცა ეს ნაკლოვანებები დაწესებულებამ აღმოფხვრა. მისი თქმით, შეიქმნა ახალი, ინგლისურენოვანი არჩევითი კურსი Silk Roads and Middle East. Historical and Contemporary Perspectives, რომელშიც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგები: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. მასში შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებს, წარმოდგენილია უახლესი ლიტერატურა. თანდართული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სტუდენტის კმაყოფილების კვლევის სისტემა და, რაც მთავარია, თითოეული მოდულისთვის ჩამოყალიბდა მსგავსი მოდელები. შედგა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობის ცხრილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. კვლევამ აჩვენა, რომ პროფილურ დამსაქმებელთა დიდი ნაწილი ჩართულია თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება განვითარების პროცესშიც, რაც გამოიხატება ფოკუს-ჯგუფებსა და შეხვედრებში მონაწილეობასა და საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირ შეფასებაში.

ემზარ კახიძის თქმით, ანგარიშის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელები და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები ითვალისწინებენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ სამაგისტრო პროგრამის დასკვნით პროექტში მითითებული რჩევების მნიშვნელოვან ნაწილს. უნივერსიტეტის შესაბამისი ერთეულები აკონტროლებენ აღნიშნული რჩევების შესრულებას, მითითებების განხორციელება მოხდება ეტაპობრივად რჩევების სირთულისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. მაგალითად, პროგრამის ხელმძღვანელი და კურიკულუმის ჯგუფის წევრები უკვე მუშაობენ რიგ კურსებში ქართულენოვანი რიდერების შექმნაზე თემების გამარტივებასა თუ უფრო თვალსაჩინო და მარტივ წარმოჩენაზე, თვითშეფასების ანგარიშის ზოგადი ნაწილების კონკრეტიზაციაზე. მისი თქმით, სტაჟირებისა და ინტერნაციონალიზასიის საკითხებში რჩევებისადმი შეიმჩნევა ზოგადი და კონკრეტიკას მოკლებული პასუხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ქიმერიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, წინამდებარე ღონისძიებები ჩატარდა ეტაპობრივად. განხორციელდა პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ცვლილებები, რომლებსაც გარკვეული პერიოდი დასჭირდა. რამდენიმე

ღონისძიება აკადემიურ საბჭოზეც დამტკიცდა. თსუ-ში მიღებული პრაქტიკაა, რომ პროგრამაზე მუშაობს პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი, სადაც მსგავსი თემები განიხილება არა მარტო აკადემიური პერსონალის ჩართულობით, არამედ მასში მონაწილეობას იღებენ დამსაქმებლები, პრაქტიკის წარმომადგენლები. იმ შემთხვევაში თუ პროგრამას პრაქტიკული ნაწილი გააჩნია, მასში მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ადმინისტრაციის, ფაკულტეტისა და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. შესაბამისად, ის ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობდა პროგრამის ფარგლებში, დაწესებულებისთვის დეტალურად ცნობილი იყო. იქიდან გამომდინარე, რომ თსუ-ში განახლდა ელექტრონული ბაზა, მასში მოხდა ინტეგრირება გარკვეული პროგრამების, რომელთა დახმარებითაც ხდება სწავლის შედეგების თვალყურის დევნება და პროგრამის ნიშნულებთან მისადაგება. გარდა ამისა, დაინსტალირებულია „გაუსის მრუდი“. დაწესებულებაში რამდენიმე ეტაპად განხორციელდა სხვადასხვა ტიპის კვლევები, კერძოდ, „ბრენდის კვლევის პროცესი“. შრომის ბაზრის კვლევის დროს გამოყენებული იქნა კონკრეტული მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მოხდა პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ყველა იმ დამსაქმებლის ფოკუს ჯგუფების გამოკითხვა, რომლებიც ჩართული იყვნენ პროგრამის განხორციელებაში. გასული სასწავლო სემესტრიდან თსუ-ში ამოქმედდა საერთო საუნივერსიტეტო თარგმანისა და გამოცემის სარედაქციო საბჭო, რომელსაც გადაეცემა პერიოდულად უკვე გამზადებული სასწავლო მასალები გარკვეული პროგრამებისთვის. დოკუმენტურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა წარადგინა ერთ-ერთი მულტი დისციპლინური სასწავლო სახელმძღვანელო, რომელიც იყო „ფრანკეს“ გამომცემლობის. აღნიშნული გამომცემლობის სახელმძღვანელო რამდენიმე პროგრამისთვის დამზადდა. ლიტერატურის შეცვლასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა აცხადებს ლიტერატურის შესყიდვას ყველა ფაკულტეტისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:26
დასრულების დრო: 17:27

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 - 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მეოთხე საკითხი: შპს ალტეს უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - კომპიუტერული მეცნიერება
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
5. დეტალური სფეროს კოდი - 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი

მეხუთე საკითხი: შპს ალტეს უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - კომპიუტერული მეცნიერება
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
5. დეტალური სფეროს კოდი - 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე და მეხუთე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მაქსიმ იავიჩი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა იდენტურია. განსხვავება მხოლოდ სწავლების ენაშია. შესაბამისად, ორივე პროგრამის მიმართ გაიცა სამი იდენტური რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტში არსებული გასაჩივრების პროცედურების შესახებ სტუდენტების ინფორმირებას. მისი თქმით, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია გამოცდების ჩატარების დებულება, სადაც რეგლამენტირებულია შეფასების შედეგების გასაჩივრების წესები. გარდა ამისა, უნივერსიტეტის განმარტებით შუალედური და დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტებს ეგზავნებათ მოკლე ინსტრუქცია საგამოცდო წესების შესახებ, სადაც მითითებულია ინფორმაცია შეფასების შედეგების გასაჩივრების შესახებ. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების დამატებას/გამრავალფეროვნებას და სტუდენტების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფას. უნივერსიტეტმა შეასრულა მოცემული რეკომენდაცია. მან აღნიშნა, რომ

საერთაშორისო აქტივობების მრავალფეროვნების და სტუდენტთა ინფორმირების გაზრდის მიზნით დაწესებულებამ განახორციელა ცვლილება საერთაშორისო ურთიერთობებისა და კვლევების დეპარტამენტში, რის შედეგადაც გაიმიჯნა და ჩამოყალიბდა ორი დეპარტამენტი - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი და კვლევების ხელშეწყობის და პროექტების განვითარების დეპარტამენტი. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი პარტნიორ უნივერსიტეტებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩასართავად და სტუდენტების ინფორმირებას პროექტებში/აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ ელექტრონული ფოსტის და პირადი შეხვედრების ფორმატით სემესტრის დასაწყისში და კონკრეტული სიახლის გაზიარების მიზნით საჭიროებისამებრ. მესამე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „აუცილებელია გაძლიერდეს და იკვეთებოდეს დაინტერესებული ყველა მხარის თანაბარი ჩართულობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში“. მისი თქმით, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ექსპერტთა აღნიშნული რეკომენდაცია. საგანმანათლებლო პროგრამის როგორც შემუშავების, ისე განვითარების პროცესში აქტიურად და თანაბრად არის ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის კურსდამთავრებულებიც. ,,საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის ინსტრუქციაში" ცვლილება შევიდა შემდეგი რედაქციით - ,,პროგრამის კომიტეტის შემადგენლობაში შედის მინიმუმ 2 კურსდამთავრებული. თუ პროგრამა ახალია, ან მოქმედია, მაგრამ ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული, პროგრამის კომიტეტის შემადგენლობაში შევა მომიჯნავე/სხვა პროგრამის მინიმუმ ერთი კურსდამთავრებული". ცვლილების საფუძველზე კომპიუტერული მეცნიერების საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტების მუშაობაში ჩაერთო ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული. ამრიგად, დაწესებულებამ ორივე პროგრამის მიმართ გაცემული ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ალავიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა ექსპერტს. მას აინტერესებდა, როგორ მოხდა დაინტერესებული მხარის პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობის ჩართულობის გადამოწმება.
ექსპერტმა მაქსიმ იავიჩმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში შეიქმნა სტუდენტთა კომიტეტი, რომლის დებულებით გაწერილია სტუდენტთა ჩართულობა როგორც პროგრამის შექმნაში, ისე განვითარებაში. შესაბამისად, ამით დადასტურდა დაინტერესებული მხარის პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობის ჩართულობა.

დაწყების დრო: 17:38
დასრულების დრო: 17:39

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ალტეს უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2^{1} - 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს ალტეს უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ალტეს უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2^{1} - 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს ალტეს უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:41 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ